

## ალქვერნატ ზიკოქცი (Alquernat Zycox)

**პრეპარატის ფორმა:** პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

**შემადგენლობა:** ნივრის ექსტრაქტი (*Allium sativum*), არტიშოკის ექსტრაქტი (*Cynara scolymus*), თავშავას ექსტრაქტი (*Origanum vulgare*).

**გამოშვების ფორმა:** 5 და 25კგ-იან ტომრებში.

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:** ბიოლოგიურად აქტიური დანამატი (პრონუტრიენტი).

### ფარმაკოლოგიური თვისებები

ალქვერნატ ზიკოქცი მცენარეული პროდუქტია, შეიცავს მაღალი შემცველობით ბიოლოგიურად აქტიურ დანამატებს (ნივრის, არტიშოკის და თავშავას ექსტრაქტებს), საკვებთან ერთად მოქმედებს ცხოველის ნაწლავის ლორწოვან გარსზე და ეწინააღმდეგება ნაწლავისა და ბრმა ნაწლავის კოქციდიის შიდა ეპითელურ ინვაზიას. მისი მოქმედების მექანიზმი ემყარება კოქციდიის უჯრედშიდა ინვაზიის თავიდან აცილებას, პარაზიტის რეპროდუქციული ციკლის პირველ ეტაპზე. მას აგრეთვე არაპირდაპირი გავლენა აქვს იმუნურ სისტემაზე.

ალქვერნატ ზიკოქცი არის ქიმიური კოქციდიოსტატიკების საუკეთესო ალტერნატივა.

### გამოყენების ჩვენებები

ალქვერნატ ზიკოქცი არის ბუნებრივი საშუალება, მისი გამოყენებით:

- მცირდება სიკვდილიანობა და მიღწეულია უკეთესი ეფექტურობის ინდექსი;
- მცირდება ნაწლავის ლორწოვანი გარსის დაზიანება;
- საკვების კონვერსიის უკეთესი მაჩვენებელი აქვს;
- კვერცხმდებელი ფრინველისთვის უმჯობესდება კვერცხის დების მაჩვენებელი, კვერცხის წონა;

არ გააჩნია ტოქსიკური ეფექტი, არ აღინიშნება შეუთავსებლობა ან უკუჩვენებები, არ ტოვებს ნარჩენებს და არ არის გარემოსთვის საზიანო

## გამოყენების წესი და დოზირება

გამოიყენება ყველა ასაკის ფრინველებისა და ღორებისთვის, როგორც კოქციდიოსტატიკი, ნაწლავების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. პრეპარატი ეძლევა პერორალურად, დოზით 0,5კგ/ტ საკვებთან ერთად, ფრინველისა და ცხოველის სიცოცხლის განმავლობაში.

**შენახვის პირობები:** ინახება მშრალ, გრილ და ბნელ ადგილას, კარგად თავმოკრულ პაკეტებში.

**ვარგისიანობის ვადა:** 2 წელი.

**მწარმოებელი ქვეყანა:** ბიოვეტ, ს.ა. ესპანეთი.